რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-თაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак-цію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა


ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ასოთი სტრიქონ-ზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და-უბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მა-ღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ხუთი შაური.



ოთხის თვის ხელის-მოწერა.

პირველის სექტემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდის

„დროება“

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.


## ტელეგრამა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურგი, 26 აგვისტოს. გაზ. „რუს. ინვალიდი“ გვაცნობებს: არმიის [...]ლასას პოლკები გადაკეთდება დრაგ-[...]ნის პოლკებათ. „ნოვოსტი“ სწერს, [...]მ ბაქოს გუბერნიის მმართველზე [...]ის ლაპარაკიო.

პეტერბურგის ბირჟა, 26 აგვისტ.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 — | 75 |
| მეორესი — — — — | 90 — | 62½ |
| მესამესი — — — — | 90 — | 62½ |
| მეოთხესი — — — | 90 — | 50 |
| მეხუთესი — — — | 89 — | 87½ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | 25½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | 25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 — | 50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 22 |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — | — 214 — | 25 |
| მეორე სესხის — | — 211 — | 25 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი | — 24 — „ | პენსი |
| ჰამბურღი | — 204 — 87 | ცენტი |
| პარიჟი | — — 252 — 50 | სანტიმი |
| ბერლინი | — „ — „ | პფენიგი |

## დღიური

ჩვენში თითქოს ჩვეულებად იყოს შემოღებული ჩაფუშონ და ბოლო მოუღონ ყოველივე სასარგებლო და-წესებულებას და საზოგადო საჭიროე-ბის მოთხოვნილების ამსრულებლების მიმართულებას. რასაკვირველია ამასაც თავისი მიზეზები აქვს: ამ გვარი წე-სების შემოღებით ბოლო ელება და ეკარგება საშუალება ზოგიერთ პირე-ბის უკუღმართ მიდრეკილების წა-დილ.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ ქა-ლაქი ბ. ნანუკოვმა გამართა „იური-დიული კაბინეტი“, სადაც ღარიბ ხალხს შეეძლო იაფ ფასათ მიეღო თავის საქმის შესახებ დარიგება მცოდ-ნე პირებისაგან და თუ საჭირო იქნე-ბოდ. ქაღალდსაც დააწერინებდა. თა-ვის სარგებლობის და საზოგადოებისა-გან ყურადღება უკვე დაიმსახურა ამ „კაბინეტმა“ მაგრამ დახეთ იმ პირთ, რომელნიც ხალხის გაჭირვებით მუ-დამ სარგებლობენ, აქაო და დროც ეხლა გვაქვს წავაგლიჯოთო!“.

ხმა გავრცელდა, რომ ყოველ ღო-ნისძიებას ხმარობენ, რომ როგორმე დააკეტინონ ეს ერთად ერთი სასარ-გებლო დაწესებულება.

მოვიცადოთ და ვნახავთ ქართულს ანდაზას: „მიზეზ-მიზეზიო დოს მარი-ლი აკლდაო“.“

ამ საგანზე ჩვენ მოკლე ხანში და-[illegible]—ილაპარაკებით ჩვენს მკითხველებს.

* *
*

სურამიდამ გვაცნობებენ, რომ ეს ოთხი-ხუთი დღე იქნება, რაც სურა-მის ქედის ტყეებს საშინელი ცეცხლი აქვთ მოდებულიო. იწვის მურმანი-ძეების, ხიდირბეგიშვილების და უიფია-ნების ტყეებიო.

უველამ ვიცით რა დიდი ზარა-ლი მოსდევს ამ ტყეების მოსპობას მომავალშიო. დღეს აბასთუმანი, ბორჯომი და სურამი, თუ ითვლე-ბიან საზაფხულო სადგომად, ამ მშვე-ნიერი ტყეების წყალობით. ეს ტყეე-ბია, რომ აგრილებენ, აცხოველებენ ამ ადგილებს. რაკი ეს უწყალო ცეცხ-ლი გადაფუფქავს ამ ტყეებს, ეს ადგი-ლებიც ისეთი საზაფხულო სადგომათ გარდაიქცევიან, როგორც ჩვენი ტფი-ლისის და საზოგადოდ ხრიაკ ნიადაგ-ზედ გაშენებული ქალაქებიო.

* *
*

ამ დღეებში ქუთაისში ჰქონიათ კრება იმ პირთა, რომელთაც განიზ-რახეს ქალაქის საკრედიტო საზოგა-დოების დაფუძნებაო, როგორც „შრომა“ გვაცნობებს; მოწვეულ საზოგადოებისათვის უნდა გაეცნოთ ამ პირთა დაწვრილებითი პირობანი [illegible]

* *
*

ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ 23 ამ თვეს ქუთაისის ოლქის სასა-მართლოს სადგომის მეორე სართუ-[...]

## «დროების» ფელეტონი, 28 აგვისტ.

### სიყმაწვილის სახსოვარი*)

(ნამდვილი გადმოცემა)

—არა, კატო, ვუთხარი მე, „შენ [...]ტყუილად მაღელვებ მაგნაირის შენის [...]ლაპარაკით! მე დარწმუნებული ვარ, [...]რომ ჩემი ბედნიერება გინდა, და ესეც [...]ვიცოდე, რომ მაგ უარით ბედნიერე-[...]ბას უბედურებად მიქცევ და შარბათს [...]შხამად! იფიქრე კარგად, უკანასკნე-[...]ლად გეუბნები, რომ ჩემი ბედი და [...]ელობა შენს ხელთ არის!

კატო მართლა ჩაფიქრდა და თვა-[...]ლები ცრემლით აევსო. ამ დროს [...]სტუმროს პატრონებიც მოვიდნენ. [...]დად ესიამოვნათ ჩემი ნახვა და სი-[...]ხარულით მომილოცეს კურსის შეს-[...]რულება. მე კატოს გაცნობა ვუთხა-[...], ამასთანავე როგორც მიმიღო და [...]მუსაიფა იმათ მოსვლამდის. იმათ [...]ის აქეს კატო, რომ ცაში ას-[...]. მითომ არ ვიცოდი, მოკლედ [...]ამბეს იმის ბიოგრაფია; მითხრეს, [...]რომ იმათი მარჯვენა ხელი და თვა-[...] ის არის, რომ ბავშვებს მშვენივ-[...]რად ასწავლის, ოჯახში ყველას სა-[...]შინლად უყვარს და ამისთანაები...

ბათენებამაც მოატანა და დავიძი-ნეთ. მეორე დღეს მორიდება აღარა-ვისი არა გვქონდა მე და კატოს და შინაურებივით ვიყავით. წასვლა და-ვაპირე სახლში და სიტყვა მივეცი, რომ ერთ კვირაზედ უთუოდ ვნახავ-დი. მხოლოდ უკანასკნელად ვკითხე, რა იმედი მქონოდა მისგან. კატომ თავს დასძლია და მითხრა:

— მე ვცდილობ შენის ბედნიერე-ბისათვის და თუ საჭირო იქმნება, მსხვერპლად შევიწირე ჩემი თავი! შეიძ-ლება, მე კიდევ ადამიანად გამოვდგე; თანახმა ვარ, შენი ჭირის სანაცვლო ვიყო, მხოლოდ ერთის პირობით: უმაღლეს სასწავლებელში უთუოდ უნდა წახვიდე!

— ამ სიტყვებზედ აღდგომა გამი-თენდა, შევახტი ჩემს ქურანს, შემოვ-კარ ქუსლი და გავფრინდი ჩემი მა-მულისკენ.

დიდად გაუხარდათ ჩვენებს ჩემი მისვლა და მოლოცვას და დალოცვას ბოლო არა ჰქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ მე გამოვუცხადე უმაღლესს სასწავლებელში წასვლა. იმათ არ მო-ეწონათ, რადგან ძალიან გამხდარი ვიყავი და მირჩიეს ერთი წლის შემ-დეგ წავსულიყავ. მეც, სწორე გითხრა, მეგობარო, ჰკუაში დამიჯდა მათი რჩევა, ბევრი აღარ ვიყოყმანე და გადავწყვიტე ერთ წელიწადს სახლში მოსასულიერებლად დარჩენა. უმთავ-რესი მიზეზი კი ჩემის დარჩენისა იყო ჩემგან განუშორებელი კატო. მე კა-ტოს ნახვის შემდეგ სწავლაზედ აღარც კი ვფიქრებდი, თითონ რომ არ მოენდომებინა, და რადგანაც იმან მოისურვა, მეც მტკიცე აღმასრულე-ბელი ვიყავი მისის სურვილისა, ანუ უკედ ვსთქვათ მისის ბრძანებისა.

ერთი კვირის შემდეგ კიდევ კა-ტოსკენ გავემართე. აბა ჩემს სიტყვას როგორ გავსტეხდი! იმასაც, რასაკვირ-ველია, შევატყობინე ჩემი და ჩვენე-ბის გარდაწყვეტილება ჩემს დარჩენა-ზედ. ვუთხარი, რომ მე სიხარულით მივიღე ჩვენებისგან ეს წინადადება, რადგანაც ერთის წლის განმავლობა-ში საკმაოდ დავსტკბებოდი და გავ-ძღებოდი კატოს ცქერით და მერე უფრო მუყაითად მოვეკიდებოდი სწავ-ლას. კატო ამაზედ დაფიქრდა და თანა-გრძნობით მითხრა: „აბა, გენაცვალე, ჩემს გვერდზედ ჯდომით რათ უნდა ჩააფუჭოვო ტყუილად ერთი წელი-წადიო?“ მითხრა ეს, მაგრამ იმ ნაი-რად, რომ ცხადად შევატყე, ჩემი დარჩენა იმას არა ნაკლებ უნდოდა, როგორც მე იმასთან ყოფნა!..

რამდენიმე ხნის შემდეგ სასტუმროს პატრონებსაც ვუთხარი ჩემი გარდა-წყვეტილება კატოს შერთვაზედ. იმათ ეს არ გაუკვირდათ, რადგანაც პირ-ველს გაცნობიდგანვე გვატყობდნენ ერთმანეთთან თანაგრძნობით მუსაიფს და მეგობრულს დაახლოვებას,—მით უმეტეს კეთილმა მოხუცებმა, ცოლ-ქმარმა, სიხარულის ცრემლით დაგ-ვლოცეს და თვალ-ხელ აღპყრობით ცაში, შესთხოვეს უფალს ჩემთვის ციური კურთხევა ამ უმანკო ქმნი-ლების გაბედნიერებისათვის.

მე ეხლა სრულ ბედნიერად ვრაცხ-დი ჩემს თავს: კატო მიყვარდა საშინ-ლად, იმასაც არა ნაკლებ ვუყვარდი, შეძლება, როგორც იცი, მეგობარო, ძალიან კარგი მაქვს დღესაც, და მით უფრო ბედნიერი ვიყავი, რომ კატო მეფურად იცხოვრებდა ჩემს ოჯახში. მხოლოდ ერთი რამე მაბრკოლებდა: ეხლავე ჩვენებისთვის გამემჟღავნებინა ცოლის შერთვა და განსაკუთრებით კატოს შერთვა! მე ამაზედ ძალიან ვშიშობდი. ძველი ხალხი, ხომ იცი, თავის დღეში ნებას არ მომცემდა, რომ მე, როგორც გამოჩენილი კაცის შვილს, კარგ შემძლებ მებატონეს, ვიღაც გადმოვარდნილი, უპატრონო, ოხერ-ტიელი ქალი შემერთო, რო-გორიც იყო ჩემი კატო! იმის გან-ხილვაში ისინი არ შევიდოდნენ, რო-გორი აღზრდილი, რა ზნეობისა და

*) იხ. „დროება“, № 171.

ლიდამ გამომხატარა და გაქცეულა ტუსაღი სოგრატ იოსელიანი.

* *

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ სასამართლოს 8 წლის კატორგა გადაუწყვეტია დოლონძისთვის, რომელმაც ქუთაისის მაზრის სოფ. რიონს, შერის-ცვალების დღესასწაულზე მოჰკლა ქუთაისელი ვაჭარი მღებროვი.

* *

გაზ. „კავკაზში“ ვკითხულობთ შემდეგ განცხადებას:

„პატივი მაქვს ვაცნობო ქალაქ ქუთაისის მცხოვრებლებს, რომ ქუთაისის ორ კლასიანი დაწყებითი სასწავლებელი გარდაკეთდა სამ კლასიან ქალაქის სასწავლებლად. ეს სასწავლებელი შესდგება ექვსის განყოფილებისაგან სადაც თითო წელიწადი იქნება სწავლა, და მოსამზადებელი კლასით, სადაც ორი წელიწადი გასტანს სწავლა, იმ ყმაწვილებისათვის, რომელთაც ცოტად ან სრულიად არ იციან რუსული ენა. ამნაირად ახლად გახსნილს სასწავლებელში სრული სწავლის კურსი გაგრძელდება რვა წელიწადი. ამ სასწავლებელში სწავლის შემსრულებელი ჩაირიცხებიან, სურვილისამებრ, სამხედრო სამსახურის მესამე განყოფილებაში, და სახელმწიფო სამსახურში პირველის ჩინის მიღებისათვის ეგზამენისაგან განთავისუფლებულნი იქმნებიან. მოსწავლენი, რომელნიც რიგიანად შეასრულებენ პირველს კლასს ამ სასწავლებლისას. [illegible] იქნებიან გიმნაზიების პირველ კლასში—ვინც კი სულ შეასრულს შეუძლიანთ შევიდნენ საოსტატო სემინარიის გარდა საოსტატო ინსტიტუტშიაც.

ამ წელს გაიხსნება ყველა კლასები გარდა მესამისა.

მისაღები ეგზამენები დაიწყება 25-ს ამ თვიდამ, და ამ დროისათვის ვითხოვთ შემოიტანონ მიღების თხოვნები, მეტრიკული მოწმობები ან საეკკლესიო მეტრიკის წიგნიდან ამოწერილი მოწმობით.

ინსპექტორი ქუთაისის საქალაქო სამ კლასიანი სასწავლებ.

გ. გასიცოვი.

## სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი.

ეს ათი წელიწადია რაც რყევა მიეცა პირველად სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს. მას აქთ ბევრი ეწვალა, როგორც სამღვდელოება, ისრე მთავრობაც, რომ ის სამუდამოთ დაებინავებინათ სადმე, მაგრამ ამ დრომდის არავითარი დაბოლოებითი გარდაწყვეტილება ვერ მოხდა. ჯერ, რამდენიმე ხნით, ეს სასწავლებელი გარდატანილ იქმნა ქუთაისში; შემდეგ, რადგანაც ქუთაისი ძლიერ ეშორებოდა სამეგრელოს და შვილების იქ შენახვა ეძნელებოდა სამღვდელოებას ხელ ახლა გარდმოტანილ იქმნა მარტვილში, სადაც დი[illegible]ლი, რომელიც ხელ მეორედ დაიწვა, რაღაცა უბედურის შემთხვევით; დასასრულ, მთავრობის განკარგულებით, სასწავლებელი გარდატანილ იქმნა ახალ-სენაკს, სადაც ის იმყოფება ამ ჟამათ. ეხლა ხელ ახლა არის კითხვა სასწავლებლის სახლის გაშენებაზე დამისთვის ადგილის ამორჩევაზე.

ბევრი უსიამოვნოება და უთანხმოება ასტეხა სამეგრელოს სამღვდელოებაში ამ სასწავლებელის გარდატან-გარდმოტანამ და კიდევაც ბევრი უბრალო ხარჯი და ზარალი შეახვედრა მას. ჯერ, სანამ ის მარტვილში იყო, არავის აზრათაც არ მოსვლია მისი გარდატანა იქიდამ, მაგრამ, როცა სასწავლებელი დაიწვა და სამღვდელოებას ეკითხა სად უფრო სასარგებლო იყო მისთვის სასწავლებელის გარდატანა მათ შორის დაუბოლავებელი უთანხმოება ასტყდა. ზუგდიდის მაზრის სამღვდელოება ეზიდებოდა სასწავლებელის ზუგდიდში; სენაკის მაზრისა—სენაკში და სულ მცირედი ნაწილი, ლეჩხუმით, სტოვებდა მას მარტვილში. ხუთ ჯერ, თუ ექვს ჯერ, იყო ამ საგანზედ სამღვდელოების კრება; ერთ ჯერ გარდაწყვიტეს კიდეც მისი დაბოლოებითი დატოვება მარტვილში, მაგრამ ამ უკანასკნელის დაწვის შემდეგ, როცა სასწავლებელი დროებით გარდატანილ იქმნა სენაკში, სამღვდელოებას ხელ ახლა შეექმნა საჭირო ამ საქმის გარდაწყვეტა. [illegible], მარტვილი, მთავრობამ მოიწვია სამღვდელოება ახალ-სენაკში ამ სასწავლებლის სამეთა გამო.-[illegible], სამღვდელოების დეპუტატები შეკრბნენ სენაკში, სრულიად დარწმუნებულნი, რომ მათ ეკითხებათ: სად სურთ დააფუძნონ სასწავლებელი და ამის ნაცვლად, როგორი იყო მათი გაკვირვება, როდესაც ამათ მოითხოვად დეშენებინათ სამუდამო სახლი სენაკში, რადგანაც უწმინდეს სინოდს, რომლისთვისაც მოუხსენებიათ ამ საქმის გარემოება გარდაუწყვეტია, რომ სასწავლებელი დარჩენილიყო სამუდამოთ ახალ სენაკში „სამეგრელოს სამღვდელოების სურვილისა თანახმად.“ ეს განკარგულება უწმინდესი სინოდისა დიდად ეუცხოვა სამეგრელოს სამღვდელოებას, რადგანაც არც ერთს მის კრებაში არ გარდუწყვეტია ამის უმრავლესობით სასწავლებლის სენაკში დაფუძნება. აქ ვისიმე მხრით შეცდომა იყო და ამისთვის სამღვდელოთა დეპუტატებმა, რომელთაც სენაკში სახლის აშენების რწმუნება არ ქონდათ, ითხოვეს ამ საქმის გარდადება მეორე კრებამდის. ეხლა სეკტემბრის პირველს რიცხვებში დანიშნულია ხელ ახლა ეს მეორე კრება.

ეს საქმე იმდენად ღირსია ყურადღებისა, იმდენად ახლო ეხება სამეგრელოს სამღვდელოების ინტერესს, რომ საჭიროა აშკარად გამოითქვას საქვეყნოდ რასაც საქმის საჭიროება მოითხოვს. საჭიროა იცოდეს სამღვ-

---

როგორი მშობლების პატრონი იყო. მეც, სწორე გითხრა, იმდენი ძალა არა მქონდა ხასიათისა, რომ მათ წინააღმდეგ მემოქმედა. ისინი, ვიცი, ნებას არ მომცემდნენ, და აქედგან გამოვიდოდა ის, რომ ქატოს დაშორების ხსენება განმაშორებდა წუთისოფელს და მე კიდევ თან წარვიტანდი ქატოს! ამ გვარად ტყუილ-უბრალოდ მოესწყდებოდით ქვეყნად ორნი მართალნი, უბრალონი, სიყვარულის მონანი!.. ბოლოს ვარჩიე, უნივერსიტეტში კურსის შესრულებამდის არავისთვის არაფერი არ მეთქვა და, როდესაც დავბრუნდებოდი სრული წლოვანი და ჩემი მამულის მფლობელობაში შევიდოდი, რომელიც აქამდის ბიძების ხელში იყო, მაშინ ვილა მეყოლებოდა ხელის დამჭერი! მე უფრო ქატოსთვის ვფიქრობდი და მინდოდა ჩემს ოჯახში ყოფილიყო, ვიდრე დავბრუნდებოდი და რადგანაც ეს არა ხერხდებოდა, ეხლა ქატოს დაბინავება მაწუხებდა.

მოვისვი ქატო გვერდით და დავიწყეთ რჩევა. მე ვუთხარი, რომ ქალაქში მყავს ძველი სახლის პატრონები, რომლებთანაც შვიდის წლიდგან მოკიდებული დღემდის ვსცხოვრობდი და რომლებიც საკუთარს შვილებში არ გამოგარჩევენ; ხათრი და პატივისცემა დიდი აქვთ და ჩემს თხოვნასაც აღმასრულებენ. დაგაყენებ იმათთან, ისე მოგივლიან, როგორც საკუთარი მშობლები; მოგცემენ საკუთარს ოთახს და ყოველს გულის წადილს აგისრულებენ. შენ ნუ ითაკილებ იმათთან ცხოვრებას, ამიტომ რომ შენი საკუთარი ულუფა გექნება. მე გადამიწყვიტეს ჩვენებმა საცმელის გარდა თვეში ათი თუმანი და აბა ამდენი ფული რათ მინდა? ყოველ თვეს ჩემგან მიიღებ ხუთ თუმანს. თუ საჭიროება იქნება, მომეტებულს მოვითხოვ და გამოგიგზავნი. ნურც იმას იფიქრებ, რომ მე სხვა ვინმე მინახავდეს, მე ჩემი საკუთარი მამული შემინახავს...

ქატოს ძალიან ეჩოთირა ქალაქის ხსენება და ხმიან ქვეყანაში გასვლა.

— მე, ჩემო სასურველო, მითხრა იმან, მირჩევნია ისევ აქ ყოფნა, სადაცა ვარ. ამ კეთილს ოჯახში მთელს თავისუფლებასა ვგრძნობ, ყველაფერი ჩემს ნებაზედ არის; მოხუცთ ძალიან ვუყვარვარ, ბოვშვები თავს მევლებიან, რადგან იმათ ვასწავლი და თუ მეტადრე ჩემი ხარჯიც მექნება, მაშინ ხომ სალოცავად დამსახავენ. მე რათ მინდა, გენაცვალე, თვეში ხუთი თუმანი? წელიწადში ორს უბრალო ჩითის კაბასაც კარგად ვიმყოფინებ, ოღონდ შენ არა გაგიჭირდეს რა შენთვის უცხო ქვეყანაში! როდესაც მშვიდობით დამიბრუნდები, მაშინ მექნება დრო სიხარულისა და დრო ნეტარი! აი მაშინ როგორც ნამდვილი მებატონის ცოლი, მოგთხოვ კარგ საცმელსაც და კეთილ ცხოვრებასაც.

მითხრა ციურის ღიმილით და ცრემლის ნაპერწკლები გამოჰყარა თვალებიდგან.

— მაშინ, თუ გინდა, ქალაქშიაც ვიცხოვროთ, და აბა ეხლა რა უნდა ვრქოს ჩემს იქ ყოფნას? პირველ დ უცნობ ხალხს უნდა გავეცნო და შევითვისო; ვინ იცის როგორ შემითვისებენ! მერე წამსვლელ-მომსვლელებმა უნდა დაიწყონ კითხვა: ვინ არის? სადაურია? აქ რათ არის? და ამისთანები... თუ არ გეწყინება, ვასოჯან, ისევ აქ მირჩევნია.

დამიჭირა ხელები და ნაზათ დამიწყო თვალებში ცქერა, და თითქო ამ ცქერით წყენისთვის მოტევებას მსთხოვდა. მაგრამ რა იქნებოდა ისეთი, რომ მე იმისაგან მწყენოდა.

შემდეგ ხანგრძლივის ურთიერთის რჩევისა, გადავწყვიტეთ: ქატო ისევ იქვე უნდა დარჩენილიყო და მე ნათქვამი ხარჯი უნდა მეგზავნა. ეხლა ქატო შევიწროებით და მოკრძალვით აღარ იყო, როგორც წინათ და მიეცა სიმხიარულეს და სახლში ფუსფუსს. ორი დღე კიდევ იმასთან დავრჩი და მესამე დღეს სახლში გამოვეშურე. დავუტოვე სახარჯოთ თხუთმეტ თუმნამდის.

—

ამ ლაპარაკში ვიყავით, როდესაც ჩვენმა ტროიკამ მოგვაჭრიალა იმ შესანიშნავს ჩვენთვის სასტუმროსთან, სადაც ჩემს მეგობარს პირველად სიცოცხლის დუღილი გამოეცადა. მოვედით მშვიდობით. ჩემი მეგობრისგან ნაამბობი სახლობა იქვე დაგვხვდა. მიგვიღეს დიდის პატივისცემით; გადაეხვივნენ ჩემს მეგობარს, ულოცავდნენ გაბედნიერებას, გუსარის აფიცრობას, თავს ევლებოდნენ დიდ და პატარა.

პატარა რომ შევისვენეთ, ვასომ [illegible]თხოვა, ვახშამი ბალკონზედ გვეშალოთ. რაც კი შეიძლოთ ამ დაუვარავად გახარებულმა ხალხ, ჩინებული ვახშამი მოგვიმზადეს. შემოუსხდით მე და ჩემი ვასო. მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო; წინ ფერდობი მის შუქზედ ოქროს ფერად გზნავდა და ნიავისაგან ელვარებით ღელავდა; ყვავილებით შეზავებული მიდამო კეთილ სურნელებას მოჰფენდა; არე-მარეს მიძინებულ-მისუსტებული იყო და გუგუნი მხოლოდ კაშკაში მთვარე ედგათ თავზედ. მე და ჩემი მეგობარი მოგზაურობის შემდეგ მადიანად შევექცეოდით. ცოტა ხანს შეწყდა ჩვენი ბაასი. მე სულის სისწრაფით მოველოდი, როდის გათავდებოდა ჩვენი საუბარი!

ქალები ბევრნი ირეოდნენ სასტუმროში, ვასოს ყველა გარს ეხვეოდა, მაგრამ მე მაინც ვერ შევნიშნე, რომელი იყო იმისი გულის ბედნიერი, იმისი გულის ბატონი, იმისი კარგი ქატო!.. ცოტა რომ დავნაყრდით და შევეზარხოშდით, მინდოდა, ბაასი ამეშალა; მაგრამ ვასომ დამასწრო.

— აი, ჩემო მამავ, ის სასტუმრო სადაც ჩემს სიცოცხლეს უტრიალნია თუ კი ის როდისმე მოძრაობდა! ა ყოველი უძრავი და მოძრავი ქმნილე

...ლოებამ როდის, რომლის პრო-
...ტოკოლის ძალით, დაადგინა მან სას-
...წავლებლის სენაკში გარდატანა, რად-
განაც სინოდის უქაზი იხსენიებს სამ-
ღვდელოების ხმის უმრავლესობით
გარდაწყვეტილების და თუ ეს გარ-
დაწყვეტილება არ დაუდგენია აქვს
თუ არა მას ნება მოითხოვოს: ხელ
ახლად დადგენილ იქმნას კრებაში
კითხვა სასწავლებლის გამართვის ად-
გილის ამორჩევაზე.

ჩემის აზრით, როცა სამღვდელოე-
ბა თუ ვინც უნდა იყოს სხვა წო-
დების საზოგადოება, აფუძნებს თავის-
თვის სასწავლებელს, მას აქვს უფლე-
ბა ადგილიც ამოირჩიოს იმის გასა-
შენებლად. კანონიც ამის თანახმა
არის და ყველა ამ კრებებს და კით-
ხვებს ეს აზრი აქვს. შემდეგ მარტ-
ვილის სასწავლებლის დაწვისა სასწავ-
ლებელი ან უნდა დარჩენილიყო იქ,
უწმინდესის გარდაწყვეტილების ძა-
ლით, ან ხელ ახლა უნდა მისცემოდა
კითხვა სამღვდელოესობას: ქონდა
თუ არა მას სურვილი სადმე გარდაე-
ტანა ეს სასწავლებელი. შეიძლება იმ
შემთხვევაში, როცა დაიწვა სასწავლე-
ბელი, დრო არ იყო ეკითხათ სამღვ-
დელოებისათვის ამ გარდატანის საქმე,
რომ სწრაფლა არ მოსცდენოდათ შე-
გირდები და დროებით გარდაეტანად
ის ახალ სენაკში იყოს, თუ გინდ
სხვაგან, მაგრამ, როცა ამ დროებითი
საჭიროებამ გაიარა და საქმე მიადგა
სასწავლებლის საუკუნო დაარსებაზე,
კანონი ითხოვდა ეკითხათ სამღვდე-
ლოებისათვის სად და როგორ გაშე-
ნებულიყო ხელ ახლა სასწავლებე-
ლი. როგორც სჩანს უკანასკნელის
ყოვლად სამღვდელო ცირკულიარიდ-
გან ბლაღოჩინებთან მომავლის სეკ-
ტენბრის სამღვდელოებათა კრებას
არც კი მიეცემა ეგრეთი კითხვა; მათ
მოეთხოვებათ მხოლოდ სასწავლებ-
ლის სახლის აღშენება ახალ-სენაკში,
თანახმად უწმინდესის სინოდის უქა-
ზისა.

ჩვენ, როგორც სამეგრელოს სამ-
ღვდელოების წევრნი, უთანხმოებას
ვაცხადებთ ამ გვარ მთავრობის გარ-
დაწყვეტილებაზედ, სამღვდელოებას
არას ოდეს არ გადაუწყვეტია სენაკს
სასწავლებლის გარდატანა და უწმინ-
დესის სინოდის გარდაწყვეტილება არის
დაფუძნებული ცუდათ შემდგარ მო-
ხსენებაზედ. ჩვენ ვითხოვთ, მაშა სა-
დამე, მომავალს კრებას დაედგინოს
პირველ კითხვად: სურს თუ არა მას
სასწავლებლის დარჩენა ახალ სენაკში
და მხოლოდ შემდეგ აღიძრას კითხვა
სახლის აღშენებაზედ.

საჭიროდ არა ვრაცხთ ბევრი ვი-
ლაპარაკოთ იმაზედ თუ რამდენათ
გამოუდეგარია ახალ სენაკი სასწავ-
ლებლისათვის. ბევრი თქმულა და ამ
გაზეთშიც დაბეჭდილა, რომ სასწავ-
ლებელი შეუძლებელია იმისთანა ად-
გილში, საცა არც საკმაო სახლებია
შეგირდების საცხოვრებლად, არც წყა-
ლია, არც ჰავა სასარგებლო. საცა დეს
გახშირებულია ციება, არის სიძვირე
ხორაგეულებისა და ბევრის მხრით
საშიშია [illegible]კინის ვზის სტანციის სიახ-
ლოვე. მს აქეთ, რაც სამეგრელო
სასწავლებლის მაზრას ჩამოაცალეს
ლეჩხუმი და მიუმატეს, დასავლეთით
სამურზაყანო, სენაკი არ არის სამეგ-
რელოს საშვალი ადგილი,—ეხლამ-
დის ეს ღირსება მაინც ქონდა მას
და თუ სხვა საშვალო და გამო-
სადეგარ ადგილას არ აღმოაჩენს
სადმე სამღვდელოება და ისურ-
ვებს სასწავლებლის მაინც და მაინც
ქალაქს ადგილში გარდატანას, ჩვენ
ვფიქრობთ, რომ ისევ ზუგდიდი უფ-
რო გამოსადეგი იქნება სასწავლებლი-
სათვის ვინემ სხვა ქალაქი. ეხლა
მარტვილი ერთობ კიდეზეა,—სენაკი
სხვებრ გამოუდეგარია და ზუგდიდი
კი წარმოადგენს ბევრს ისეთს კარგ
პირობებს სასწავლებლისათვის რომ
სასწავლებლის იქ გარდატანა ბევრად
სასარგებლო იქნება. აქ საკმაო სახ-
ლებიც იქნება შეგირდებისათვის, ჰა-
ვაც კარგია, ცხოვრებაც უფრო იეფად
დაჯდება და რადგანაც საზოგადოებ-
რივი ცხოვრება მოქალაქეთა სიმრავ-
ლით, ადმინისტრაციისა და სამოქა-
ლაქო დაწესებათა და პირველ დაწ-
ყებითი სკოლის არსებობით უფრო
გავრცელებულია ზუგდიდში, ვინემ
სხვაგან, სასწავლებელსაც აქვს მისთვის
საჭირო ნიადაგი. სენაკის სამღვდე-
ლოება შეიძლება ადვილად დათანხმ-
დეს სკოლის გარდმოტანაზედ ზუგ-
დიდში, რადგანაც, [illegible]
ზუგდიდის და სენაკის [illegible]
ზუგდიდის მაზრის სამღვდელოებას
განზრახვა აქვს აღაშენოს სასწავლებე-
ლი თავისი საკუთარი ხარჯით.

იმედი გვაქვს, რომ მთავრობა პა-
ტივს დასდებს სამღვდელოების კანო-
ნიერ სურვილს და ეს საქმე დაბო-
ლოვდება მომავალ სეკტენბრის კრე-
ბაში, სამღვდელოების სურვილის თა-
ნახმად. მხოლოდ მაშინ შეიძლება ამ
გაუთავებელი საქმის გათავება.

ბლაღოჩინი მღვდელი
ნესტორ ალშიბაია.

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა
საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლი-
სიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელ-
დიში სიფილისტიკური და სირურგიული
ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის,
ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობი-
სა; ზაზაევი ძარღვების სისუსტის და ში-
ნაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—სირურ-
გიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—
შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სი-
ფილისტიკური და სირურგიული ავათ-
მყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქა-
ლების და ყმაწვილების ავათმყოფობისა;

---

...ბა ჩემი კატოს ბამანებიერებელი და
...ჩვენი ურთიერთის სიყვარულის მო-
წმეა!.. მაშ მოდი, რახან კატო მო-
გვეგონდა, იმისი სადღეგრძელო დავ-
ლიოთ სამის სტაქნით. ორივემ უც-
ბათ გადავხუხეთ კატოს სადღეგრძელო
და კარგათაც შევქეიფიანდით. ვიბაა-
სეთ, ვიჭყჭყიეთ და ვახშამი რომ გა-
ვათავეთ, ჩავეშვით მინდორში ამ
მშვენიერ მთვარიან ღამეში. ვიარეთ,
ყვავილები დავგლიჯეთ, ხან სად წა-
მოვწექით მწვანეზედ, ხან სად; ვისია-
მოვნეთ მიძინებულის, მაგრამ ცოც-
ხალის ბუნებით. შემდეგ კიდევ ვია-
რეთ და რომ დავიღალეთ, იქვე სასა-
ფლაოზედ მივედით და ქვებზედ ჩა-
მოვსხედით. მე მოვაგონე და ვასომ
განაგრძო.

—როგორც გითხარი სოფელში
წავედი მაგრამ კვირა არ გაიდოდა,
რომ კატო ორჯელ მაინც არ მენახა.
ნადირობას მოვიმიზეზებდი და ორია-
სამი დღე სულ იმასთან ვიყავი ხოლ-
მე. ისე ვიყავით, როგორც ჯვარ და-
წერილები, მხოლოდ ჩვენებმა არაფე-
რი არ იცოდნენ. ასე გავატარეთ წე-
ლიწად ნახევარი. აგვისტოს თხუთ-
მეტს მოვიდა დრო და მეც სარუსე-
თოთ ჩავებარგე. რამდენი ტირილი,
რამდენი ვაი-ვაგლახი გავწიეთ მე და
კატომ გამოთხოვების დროს. სწორეთ
ხუთჯერ დავბრუნდი გზიდგან, ისე
მეცოდებოდა ჩემი მომტირალი კატო!
ბოლოს ორივემ თავი შევიმაგრეთ,
ნუგეშში ვეცით ერთმანეთს და მე გავ-
წიე...

—მაშ, კაცო, საქორწილოთ მო-
მიყვანე? ვკითხე მე.

—მე დიდი ხანია დავქორწილდი
და შვილიცა მყავს! მიპასუხა იმან.

მე გაშტერებით დავუწყე ყურება
და მერე ვუთხარი:—კაცოდა ვერ მე-
ტყოდი, ან ვერ მაჩვენებდი შენს ცოლს?
ამ სიტყვებზედ ვასო ქშენით, რო-
გორც ლომი წამოხტა ზეზედ, აიღო
აღელვებულმა მუშტი და საშინლად
დაჰკრა ჩვენ წინ მწვანე მოაჯირს და
შემზარის მწარე ხარხარით დაუმა-
ტა:

—აი ჩემი კატო!! ჩემი ბედნიერე-
ბა კატო!... მე მიღალატა და შავი
მიწა შეიყვარა ჩემს მაგიერად, მას ჩაე-
ხუტა ცივს გულში!!

მოჰყვა ხმა მაღლა ტირილს, თავით
მოაჯირზედ დაეყუდა და დიდხანს სა-
ზარლად იღრიალა! მე მთლად გონე-
ბა მიხდილი გაუგებლად შევსცქერო-
დი ვასოს. თავის დღეში ვერ წარმო-
ვიდგენდი, თუ იმის საუბარს ამისთანა
საზარელი დასასრული ექნებოდა! ბო-
ლოს გონზედ მოვედი, ყმაწვილი ტი-
რილით დასუსტებულიყო, ძლივს სან-
სალებდა, დავუჭირე ხელი და იქვე
ქვაზედ ჩამოვსვი. ხამუშ-ხამუშ ამოი-
ოხრებდა და როგორც შხაპუნა წვიმა
მუჭა-მუჭა ცრემლებს გადმოჰყრიდა
თვალიდგან. როგორც იყო დავამშვი-
დე და ვკითხე, რა ნაირად მოხდა
მეთქი ეს საქმე.

—რაღა რა ნაირად, მიპასუხა გულ-
ამომჯდარმა მისუსტებულის ხმით,
ერთი თვე ვიყავი პეტერბურღში, აცრ
კი დამცალდა, რიგიანი წერილი მო-
მეწერა კატოსთვის, რომ ტელეგრამმა
მივიღე ამ სასტუმროდგან: „კატო სა-
მი დღეა დაიკარგა, არ ვიცით, სად
არის!" მე მეორე დღესვე გამოვქანდი
და რომ ჩამოვედი, აი აქ დამხვდა სა-
უკუნოთ მიძინებული ჩემი საყვარელი
კატო!... ვიღამაც მიმტერა და გამომ-
ჭრა ყელი. არ ვიცი ჩემმა ნათესაო-
ბამ, რომელთაც ჩვენი დაახლოვება
შეეტყოთ, თუ სხვა ვინმემ მათმა
მოსყიდულმა. პეტერბურღიდგან ტე-
ლეგრამმა მოსულიყო კატოს სახე-
ლობაზედ. იმას ჩემი ჰგონებიყო და
სიხარულით გაეხსნა, თურმე შიგა სწე-
რია: „მაპატიე, კატო, მე ცოლს ვირ-
თავ და გრანიცაზედ მივდივარ, იქნე-
ბა, სიცოცხლით ვერც კი გნახო. უვე-
ლაფერი სიყმაწვილით მომივიდა, ვა-
სო." ამის წაკითხვაზედ თურმე გული
წაუვიდა და დიდხანს მიბნედილი ეგ-
დო. როგორც ყოფილიყო, მოებრუ-
ნებინათ. შუაღამისას გაპარულიყო და
ხომ ხედავ იმ თვალ უწვდენელ ფრია-
ლოს, იქიდგან გადაშვებულიყო და
ძირს მდინარის ზვირთებს მოეღოთ
საბრალოსთვის ბოლო. დღესაც ვერ
მოურეცხია წვიმა-წყალს იმ კლდეებ-
ზედ გადანთხეული უმანკო სისხლი!
მძებნელებს სამი დღის უკან ეპოვნათ.
აი ამისი წერილი, რომელიც ჩემთვის
დაეტოვებინა.

ვაღმომცა წერილი, წავიკითხე: „ვა-
სოჯან, რათ შემაყვარე თავი, თუ კი
ესეთი ბოლო ექნებოდა ჩვენს სიყვა-
რულს, ან რად მიმუხთლე აგრე სას-
ტიკად?! რა ვქნა, მე პატიოსნად გა-
გიცანი!! ნუ თუ ჩემი სიყვარული გე-
თაკილებოდა, შენი დამწვარი კატო-
სი?! მაგრამ მაინც ღმერთს შევევედ-
რები შენს ბედნიერებას ახალ ცოლ-
თან, ამიტომ რომ მიყვარდი! მოუა-
რე ჩემს პატარა უკანონო ობოლს,
შენს საყვარელს ტიტიკოს! მე ორი-
ვეს შეგავედრებთ ზეციურ მამას და
შევსთხოვ თქვენს დღეგრძელობას. ეს
კი გახსოვდეს, ვასო ჯან, რომ შენი
სიყვარული ცოცხლად ჩამყვა სამარე-
ში. დედის ნაცვალს არ დააჩაგვრინო
ჩემი პაწაწა შვილი, შენი ტიტიკო!
ღმერთმა მშვიდობა მოგცეს. შენი სი-
ცოცხლით გამწარებული კატო."

ამ წერილმა ორივეს დაგვწყვიტა
წელები. ვასომ არ იცოდა, ვისთან,
ან როგორ ემართლა თავი. დავბრუნ-
დით ისარ ნაკრავებივით. პატარა ტი-
ტიკო, ოთხი წლის ბოვშვი, ჯერაც
სასტუმროში ებარათ. ვასომ თავის-
თან წამოიყვანა სოფელში... საზარე-
ლი შთაბეჭდილება იქონია ჩვენზედ
სიყმაწვილის მოგონებამ...

ტიტიკო დღეს რვა-ცხრა წლის კა-
ცია, ცოცხალი, მარდი, გონიერი,
თამამი, ნიჭიერი. მამას საშინლად
უყვარს და თავისგან არ იშორებს,
სადაც დადის, ისიც თან დაჰყავს.
ზრდის, როგორც ქართველი თავის
შვილს. უკანასკნელ გროშს არ იშუ-
რებს აგრეთვე მისი დედის, თავის და-
უვიწყარის კატოს, საფლავის შესამ-
კობლად და გასამშვენიერებლად.

ა. ცაგარელი.

26 აგვისტოს.

ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი — მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — მარლვების სისუს-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — მარლვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## ეროვბა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა
გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 15 კაპ.

ა. გ. მირზაშვილი ამით აცნობებს საზოგადოებას რომ პირველს ენკენისთვიდამ ის ხსნის საკუთრად პანსიონს და მოსამზადებელ კლასსებს. პანსიონში მიიღებიან სხვა-და-სხვა სასწავლებლების შეგირდებიც. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდამ. დაწვრილებითი ცნობის შეტყობა სკოლის და პანსიონის კანცელიარიაში აველის ქუჩაზე, გიმნაზიის მახლობლად, დავით აველიშვილის სახლებში, ნ ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში.
(4—2)

## გორში

ხიდის ახლო ისყიდება საუკეთესო ოის ალაგი. ფასზე ეკითხოს ტფილისში ზაქარია იოსების-ძე მამაცოვს.
(3—2)

ახალი ქართული

## კარაბადინი

იდება ტფილისში: შავერდოვის ...აქუროვის წიგნების მაღაზიებში; ...სში: მურადოვის და ჭილაძის ...ს მაღაზიებში.
...ი ყდიანის ერთი მანეთი.

## მაღაზია

სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქავე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—10)

გ. იოსელიონისა და ს. რეცოლდის პანსიონში და პროგიმნაზიის კურსის სასწავლებელში იღებენ ყმაწვილების პირობით ყველა საშუალ სასწავლებლებში მოსამზადებლად. ფასი ზომიერია.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბურგენბეგოვის სახლებში, № 81-ი.
(5—4)

ვაძლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

## „ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ.
(20—18)

ნაფიცი ვექილი
სერგეი ვასილის ძე

## ჩემესოვი

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე ბატბელოის სახლებში (6—5)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება:** პარფიუმი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—99)

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**
შედგენილი
კ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

## ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ

Издаваемый въ г. Тифлисѣ
(годъ второй)

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года

Цѣна за полгода 6 руб.

Кромѣ того можно подписаться на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололакская улица д. № 10 и въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова.
(6—5)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე

შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).
**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
ალაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი
(10—9)

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

**ტაქსის**

საჭმელ სურსათთა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზედ 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდის.

| | |
|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | |
| პირველის ხარისხის — 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ — 1 გირ. | 3½ |
| მესამის „ — 1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | |
| პირველის ხარისხის — 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ — 1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | |
| პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ — 1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ — 1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | |
| პირველის ხარისხის — 1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ — 1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — — 1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი 1 გირ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | |
| პირველი ხარისხის — 1 გირ. | — კ. |
| მეორის „ — 1 გირ. | — კ. |

# თეატრალური განცხადება

15 სექტემბრიდამ დაიწყება ქართული თეატრალური სეზონი. უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ავტორებს და მთარგმნელებს, ვისაც კი მოეძებნათ პიესები გამოგზავნონ 1 სექტემბრამდის რადგან მთელი სეზონის რეპერტუარი გამოცხადებული უნდა იყოს წარმოდგენების დაწყებისათანავე; ეს დაჩქარება მით უფრო საჭიროა, რომ 1 იანვრამდის 1883 წლ. პიესების ცენზურაში გატარება შეიძლება აქვე, ტფილისში, მას შემდეგ კი უნდა გაიგზავნოს უმაღლეს მთავრობასთან, და იმისათვის რომ ეს დიდი დაბრკოლება, ქართულ თეატრის შესახებ, თავიდამ ავიცილოთ, ჩვენ კიდევ ვიმეორებთ ჩვენს თხოვნას, რომ პიესები რაც შეიძლება მალე გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба“. Константину Семеновичу Месхи.**

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ვისაც კი სურს ქართულ დრამატულ დასში, დრო-გამოშვებით მონაწილეობის მიღება ან სურს შემოვიდეს სამუდამო მოთამაშედ, შეუძლიან ამავე ადრესით მოგვმართოს პირობების შესატყობლად.

ძველ მოთამაშეთ ვაუწყებთ, ვისაც სურსთ, შეგვეკრან კონტრაქტით იმ პირობებზე და წესებზე, რომელნიც დამტკიცებულნი არიან ქართული დრამატული საზოგადოებისაგან, პირველ სექტემბრამდის; რომელიც კი ამ ვადამდე არ შეგვეკრება კონტრაქტით, შემდეგში აღარ იქნება მიღებული ქართულ დასში.

მოთამაშეთა სახელ-გვარი, რეპერტუარი, აბონიმენტი, წარმოდგენების დღენი და თვითონ თეატრი, თუ სად გაიმართება წარმოდგენები — გამოცხადდება სექტემბერს.

ქართული თეატრის საქმეთა გამგენი { ვ. აბაშიძე. კ. მესხი.